# ცნობის ფურცელი

№ 5. ყოველ-დღიური გამოცემა.— კვირა, 10 სექტემბერი 1900 წ. № 1234

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ.
**ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе".
**ტელეფონი № 372.**



# სკოლა და პანსიონი
## ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

**ადრესი:** ოლგინის ქუჩა (Ольгинская ул.), სახლი დრობიშევისა, ზემმელის აფთექის მახლობლად. (10—5)

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებითა ანუ ბუნებითი სიმდიდრისა **ქართველთა მემამულეთა**, მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს**, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.—ადრესი: **RAPHAEL ISARLOFF.**
(5. 16—10) **Paris, rue des Ecoles, 40.**

წარსული წლების ჟურნალი
## მოამბე
გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ შვიდ მან., 1896, 1897 და 189 წ წ—ხუთ ხუთ მან., ხოლო 1899 წ. „მოამბე" 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალი „მოამბის" ფოსტის ხარჯათ 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალი
## მოამბის
ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журн. „Моамбе"

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობის გამომც. წიგნები
იყიდება კიოსკ შიც — ქაშვეთის პირდაპირ.


# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 7 სექტემბერი

**ტაკუ.** მოკავშირეთა რაზმებმა დღეს დილით იერიში მიიტანეს პეიტანის სიმაგრეებზე. ზარბაზნების სროლა ჯერაც არ შეწყვეტილა.

**ვაშინგტონი.** გუშინ საღამოს პრეზიდენტის სასახლეში მოხდა სხდომა მინისტრებისა მაკ-კინლეის თავმჯდომარეობით. ამბობენ, სხდომაზე შეიმუშავეს პასუხი გერმანიის წინადადებაზე, რომელიც უარყოფილია.

**ნიუ-იორკი.** ვაშინგტონიდან მოსულ ცნობებით, შეერთებულ შტატების მთავრობა შეუძლებლად სცნობს ბიულოვის წინადადების ასრულებას; მარტო გამოძიებას შეუძლია აღმოაჩინოს ამბოხების დამნაშავენი. გარეშე საქმეთა სამინისტრო უპირატესობას აძლევს სოლსბერის წინადადებას, რომელიც მშვიდობიანობაზე მოლაპარაკების დაწყების პირობად სდებს იმპერატორის დაბრუნებას პეკინში.

**პეკინი.** გენერის რაზმმა იერიში მიიტანა 29 აგვისტოს ქალაქ ლიანსინზე. ქალაქს, რომელიც ავსილია მოკრივეებით და საიმპერატორო ჯარებით, ჯერ ზარბაზნები დაუშინეს; შემდეგ დინამიტითააფეთქეს ალაყაფის კარები, რის შემდეგ ბრძოლა გაიმართა ქუჩებში. ჩინელები არ დაზოგეს; 500 კაცია მოკლული.

**შანხაი.** ხუან-ხულიანის პროვინციის ერთი წარჩინებული მოხელე 27 აგვისტოს 8000 ჯარისკაცით მისულა ტაიენფუში და გამოუცხადებია დედოფლისათვის, რომ დიდძალი ჯარი კიდევ გზაში არისო. ქვრივმა დედოფალმა მადლობა გამოუცხადა მეფის მოადგილეთ და გუბერნატორებს ერთგულებისათვის.

**შანხაი.** სეიმური წავიდა ტაკუში. ამბობენ, რომ ტიანცძინში იგი შეხვდება ელჩს მაკდონალდს.

ნანკინიდან მოსულ უტყუარ ცნობებიდან სჩანს, რომ იქ გავლენა მოიპოვა უცხოელთა მოწინაამდეგე პარტიამ, თუმცა მას ეწინააღმდეგებოდა მეფის მოადგილე.

ინგლისის ელჩი ტოკიოში—სატოუ—დაინიშნება პეკინში მაკდონალდის მაგიერ, მაკდონალდი კი გადაყვანილ იქნება ტოკიოში.

**შატრი.** პრეზიდენტი ლუბე დაესწრო ამიღდში ჯარების ალლუმს, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 9000 კაცი და 2000 ცხენი. ლუბე გამოელაპარაკა წარდგენის დროს ყველა ოფიცრებს. შატრის ქალაქის გამგეობამ სალამო გაუმართა უცხოელ ოფიცრებს. გენერალმა ვონლიარსკიმ სიტყვა წარმოსთქვა. სალამოზე გულწრფელი მხიარულება ჰსუფევდა.

**შანხაი.** როგორც ისმის, ლიხუნჩანგი გუშინ საღამოს მისულა ტაკუში. მის გემის მოახლოვების დროს ვუზუნის სიმაგრეებიდან 19-ჯერ დასცალეს ზარბაზანი ნიშნად პატივისცემისა. უცხოელთა გემებიდან არ გაუსროლიათ. ტელეგრაფის დირექტორი შენი ლიხუნჩანგს არ ახლავს. ის კიდევ შანხაიში არის.

**პეტერბურგი**, 5 სექტემბერი *). ბირჟა. 5% გირავნობის ფურცლები ტფ. სათავად-აზნ. ბანკისა—97 გამყიდვ., 4½%—87 მყიდვ., 6% გირავნობის ფურცლები ქუთ. სათავად აზნ. ბანკისა—101 გამყიდვ., 5%—98½ მყიდვ.

### 8 სექტემბერი

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება ნელსპრუიტიდან: 3000 ბურიდან, რომელთაც კომატიპორტისაკენ დაიწიეს, 700 პორტუგალიის საზღვარზე გადვიდა, დანარჩენები გაიფანტნენ. „ბურების მხედრობიდან, სწერს რობერტსი, დარჩა მხოლოდ რამდენიმე ბრბო მძარცველებისა".

**პერიმი.** ჰოლანდიის კრეისერი „ჰერდერლანდი" მიდის აქედან დელაგოას, რათა წაიყვანოს კრიუგერი ჰოლანდიაში.

**ვაშინგტონი.** ჰფიქრობენ, რომ ამერიკის მთავრობის პასუხი გერმანიის წინადადებაზე დიპლომატიურ ნოტის სახით გაეგზავნება ყველა სახელმწიფოებს. ეს ნოტა არც ეწინააღმდეგება, არც ეთანხმება გერმანიის აზრს და ცდილობს ამერიკის წინადადებაზე დაიყოლიოს სახელმწიფოები.

**ლონდონი.** ოფიციალური დეპეშა ქალაქ დულიუს დანგრევის შესახებ ამბობს, რომ დულიუს ახლო მდებარე ქალაქი ცზინხაი მხოლოდ იმ პირობით იქმნა დაზოგილი, რომ ჩინელებს უვნებლად მოეყვანათ ტიანცზინში 4 ქალი და რამდენიმე ბავშვი, რომელნიც ხაინაშენში იმალებიან. მანდარინებმა მიიღეს ეს წინადადება. ქალაქი შენფანი, რომელიც მდებარეობს ტიანცზინიდან 30 მილის მანძილზე, შეიქმნა უკანასკნელ თავშესაფარად „დიდი მუშტის" მიმდევართათვის.

**ვაშინგტონი.** რემეი დეპეშით იტყობინება, რომ ოფიციალურად იყო სადარბაზოდ ლიხუნჩანგთან. უკანასკნელი სავაჭრო გემით მოვიდა 5 სექტემბერს ტაკუში და დაუყოვნებლივ მიდის პეკინში. მან მადლობა გამოუცხადა შეერთებულ შტატებს ყურადღებისათვის.

**ვენა.** შაჰი მოვიდა აქ; რკინის გზის სადგურზე მას მიეგებნენ იმპერატორი, ყველა მინისტრები, ჰერცგერცოგები და წარჩინებულნი გვამნი.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტომ" გაიგო, რომ მაკდონალდის გადაყვანა პეკინიდან ტოკიოში გარდაწყვეტილი იყო უკვე 1900 წლის აპრილში.

---

# სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ ინგლისური გაზეთები სცდილობენ მოიგონონ ისეთი რამ ღონისძიება ჩინეთის საქმეების გადასაწყვეტად, რომელსაც შეეძლოს ყველა ნაირ-ნაირ მოთხოვნილებათა შეხვედრა: რუსეთის წინადადების მიღება-კი, იმათ გუნებაშიაც არ უდევსთ. ყველა

*) დაგვიანებულია.

პროექტები მაინც ეთანხმებიან ერთმანერთს იმაში, რომ პეკინიდან ჯარები უსათუოდ უნდა გამოყვანილ იყვნენ. ერთს ვნელს მაღალ-წარჩინებულს პირს აუხსნია «სტანდარტის» კორესპონდენტისათვის, როგორ შეიძლება, რომ ჩინეთის საქმე დაბოლოვდეს. რადგან ინგლისს და გერმანიას არა სურთ თავიანთ ჯარების გაყვანა პეკინიდან, უთქვამს ვნელს დიპლომატს, და რუსეთმა თითონაც დაინახა, რომ აწინდელს მდგომარეობაში არაა სასურველი სრული დაცლა პეკინისა, ამისათვის ეხლა მოლაპარაკება აქვთ მხოლოდ იმის შესახებ, რომ აღმოხნარონ ყველასაგან მისაღები და ყველას დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება. შეერთებულს შტატებს, ეტყობა, ძალიან ესაჭიროება ფილიპინებისათვის ის ჯარი, რომელიც პეკინში ჰყავს. რუსეთსაც სჭირდება თავისი ჯარი მანჯურიისათვის. იაპონიას სურს ერთის მხრით, რომ ასიამოვნოს რუსეთს და დაამტკიცოს, რომ მას არა აქვს არავითარი სათავისო აზრი, მეორეს მხრით მისთვის სასურველია სამხედრო ხარჯის შემოკლება ჯარის მომეტებულ ნაწილის შინ გაგზავნით. ყველა ამის მიხედვით, სახელმწიფოები შეთანხმდებიან შემდეგ გარდაწყვეტილობით, რომელიც, როგორც მოსალოდნელიც იყო, ყველაზედ უფრო უახლოვდება რუსეთის წინადადებას: ინგლისი, რუსეთი, იაპონია და გერმანია, რადგანაც ამათ მეტი ინტერესი აქვთ ჩინეთში, დასტოვებენ სათითაოდ 10,000 ჯარის კაცს. კორესპონდენტის მოსაზრებს ძლიერ სურდა ეთქვა: «ჩინეთში კი არა, პეჩილიის პროვინციაში», რადგანაც ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ რუსეთმა დაუთმო სხვა სახელმწიფოებს, მაგრამ ის არაა დარწმუნებული, რომ ეს ნამდვილად ასეა. საფრანგეთი, შეერთებული შტატები, რომელთაც ნაკლები ინტერესი აქვთ, დასტოვებენ ჩინეთში თითო 5000 კაცს, შეიძლება ნაკლებსაც. ავსტრიისა და იტალიისაგან დიდის მადლობით მიიღებენ ყველას, რის მოცემასაც კი მოისურვებენ ისინი. ყველა სტრატეგიული პუნქტები: ტაკუ, ტიანცზინი, შესაძლებელია ბაოლინფუც, დატოვებულ იქმნებიან მოკავშირე სახელმწიფოთა ხელში, პეკინის მცირონე ჯარიც დაკლებულ იქნება სამშვიდობომოლაპარაკების მსვლელობის დაკვარად, ის შეიძლება სულაც მოისპოს, თუ კი პრინც ცინთან და ლიხუნჩანგთან მოლაპარაკებას კაი შედეგი მოჰყვება; მაინც და მაინც ყოველ შემთხვევაში მოლაპარაკების საფუძვლად დადებულ იქნება ის მოაზრება, რომ პეკინში მხოლოდ საერთა-შორისო ჯარები უნდა იქმნას დატოვებული. კორესპონდენტმა ვერ შეიძლო იმის თქმა, თუ ვისგან არის გამოსული ეს წინადადება, მაგრამ იმან ნამდვილად იცის, რომ ეს უბრალო ცდა-კი არ არის, არამედ ნამდვილი პროექტია შეთანხმებისა, და ბევრი საბუთია იმისიც, რომ იგი მიღებულ იქმნება. ამ მხრივ კორესპონდენტს საქმე თითქმის გადაწყვეტილად მიაჩნია, მაგრამ მას აფიქრებს მომავალი მსვლელობა ჩინეთთან მოლაპარაკებისა. პრინც ცინს და ლიხუნჩანგს სახელმწიფონი მიიღებენ რწმუნებულებად ზავზედ მოსალაპარაკებლად, რობერტ ჰარტი მოახერხებს საქმის ფინანსიურის მხრივ მოწყობას. ყველა ეს არაა ძნელი, მაგრამ როგორ უნდა დააკმაყოფილონ გერმანიისა და ინგლისის მოთხოვნილებანი შესახებ მკვლელთ დასჯისა და მთავრობის განახლებისა? ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოთა იარაღის შემწეობით, ანუ თვით ჩინელთა ამბოხებით. არც ერთი ამ ორ-საშუალებათაგანი შესაძლებელი არაა, და ამის გამო კორესპონდენტს ამნაირად საქმის გადაწყვეტა ისევ საეჭვოდ მიაჩნია. «პალმალ გაზეთა»-იც არკვევს, თუ რანაირად შესაძლებელია ჩინეთის საქმის გადაწყვეტა. სამნაირად შეიძლება ეს საქმე გარდასწყდესო, ამბობს გაზეთი: მოსპობა ჩინეთის ერთიანობისა და გაყოფა მისი, 2) საერთაშორისო კონტროლი ჩინეთის მთავრობისა და 3) დაცვა ჩინეთის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისა იმ პირობით, რომ მან ზღოს წარსული ხარჯი და ზარალი და უზრუნველ ჰყოს, რომ მომავალში აღარ მოხდეს არავითარი არეულობა და უწესოება, მაგნე უცხოელთათვის. საერთაშორისო კონტროლს გაზეთი უარ-ჰყოფს, რადგანაც ის მოუხერხებელი აღმოჩნდა ყველგან: ეგვიპტეში, კრეტზედ და სხვა ადგილებში. ჩინეთის გაყოფა მოიტანს უფრო მეტს ზარალს და შეწუხებას, სინამ სარგებლობას. მანჯურიის, მონგოლიისა, კაშგარიისა და ტიბეტის მოშორება კიდევ შეიძლება, მაგრამ სრულებით შეუძლებელია გაყოფა იმ 18 პროვინციისა, რომელნიც შეადგენენ გეოგრაფიულადაც და ეტნოგრაფიულადაც ერთიან ქვეყანას. ყველგან გაჩნდებიან საიდუმლო საზოგადოებანი და დაჭერა ამ პროვინციებისა შეუძლებელი აღმოჩნდება. მარტო იანძის ველისათვის საჭირო იქნება 100,000 ინგლისის ჯარის კაცი. ჩინეთის გაყოფა არც თუ ადებ-მიცემობისათვის იქნება სახეირო, რადგანაც არეულობა დიდის ხნით შეაჩერებს ვაჭრობას, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ინგლისის საქონელი გამოდევნილ იქმნება მტრული ბაჟებით (ინგლისის გაზეთი უყურებს საქმეს, რასაკვირველია, მხოლოდ ბრიტანიის ინტერესების მხრივ). მერე, ვინ გადაიხდის ჩინეთის სახელმწიფო ვალებს, რომელნიც ჩინეთს წინათ აიღო? «პალ მალ გაზეთი» რჩეობს ამიტომ მესამე გადაწყვეტილობას: დაცულ იქმნას ჩინეთის ერთიანობა და დამოუკიდებლობა. ამას გაზეთი დასძენს, რომ ჩინეთმა უნდა გადაუხადოს ფულად ზარალი და ხარჯი მოკავშირე სახელმწიფოთ, მკვლელობასა და უწესოებაში დამნაშავენი უნდა დასჯილ იქმნენ, ყველა წევრნი დიდი რჩევისა და ცუნგ-ლი-იამენისა უნდა დათხოვნილ იქმნენ, ქვრივი დედოფალი გადაყენებულ იყოს, იმპერატორი გუან-სიუ ტახტზედ აყვანილ იქმნას, მემკვიდრე ტახტისა უნდა აღიზარდოს ლიბერალურ და პროგრესიულ მასწავლებელთაგან, რომელთაც დანიშნავენ უცხოეთის ელჩების ჩვენებით, იმპერატორმა უნდა დაუყოვნებლივ ცვლილებანი მოახდინოს. შემდეგ გაზეთი მოვალედა-ჰხდის იმპერატორს, რომ მან სრული თავისუფლება მისცეს სიტყვისა რეფორმების შემომღებთა ხელმძღვანელებს, გაიყვანოს რკინის-გზები, შეიმუშაოს მადნები და საზოგადოთ ეცადოს ქვეყნის განვითარებას; შემდეგ იმპერატორმა უნდა მისცეს უცხოეთის ელჩებს უფლება, რომ მათ ყოველთვის შეეძლოთ მოსთხოვონ მას აუდიენცია და ბოლოს იმპერატორმა პროკლამაციით უნდა აუწყოს მთელს ჩინეთს ახალი პოლიტიკის და ცვლილებათა შემოღება.

∝ შანჰაის ინგლისის წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ ლიხუნჩანგმა რუსეთისა და გერმანიის გული მოიგო და სხვების აღარ ეშინიანო. რუსეთს მანჯურია დაუთმო, რომლის ნაწილი კიდეც დაიპყრო ამ სახელმწიფომ, გერმანია-კი, როგორც სჩანს, შანტუნგის პროვინციას მიიღებს სამუდამოდ. რაც შეეხება ინგლისს, მისი მოსყიდვა არც ღირსო, ამბობენ შანჰაელი ჩინელები.

∝ სად არიან ჩინელი ჯარები? ამის შესახებ პეკინიდან ბევრი სხვა და სხვა გვარი ამბავი მოდის, რომელნიც ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. უფრო სარწმუნოდ მიაჩნიათ შემდეგი ცნობა, რომელიც შანჰაის ინგლისის საკონსულოდან მოსულა: 60 ათასი ჯარის კაცი დიდი არხის ჩრდილოეთით წავიდა იმპერატორის დასაცველად, 47 ათასი დამარცხებულ და გაბნეულ იქმნა პეკინისა და ტიან-ძინის შუა; 16 ათასი წავიდა შანსის დედოფლის დასაცველად; 7000-ს იმპერატორს უგზავნიან კიდევ.

# ახალი ამბავი

✦ „კავკაზ“-ის სიტყვით, ოქტომბრის პირველ რიცხვებში კავკასიაში მობრძანდება სამხედრო სასწავლებელთა უფროსი მ. ი. უ. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე.

✦ იმავე გაზეთის სიტყვით, ამ ჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფება და მალე ტფილისშიაც ჩამობრძანდება მ. ი. უ. დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე.

✦ ახლად დანიშნული იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი 6 სექტემბერს წავიდა ქუთაისს, საიდანაც 8 სექტემბერს, ღვთის მშობლის შობის დღეს, გელათში უნდა წასულიყო სადღესასწაულო წირვის გადისახდელად.

✦ საქართველოს ეგზარხოსი ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩამოვა ტფილისს.

✦ ამ თვის შუა რიცხვებში ტფილისში უნდა ჩამოვიდეს ადგილმამულის მმიჯნავ უწყების უფროსი სენატორი შნემანი კავკასიის მმიჯნავ დაწესებულებათა სარევიზიოდ.

არ იქნება ურიგო ჩვენმა თავად აზნაურობამ კიდევ აღძრას მის წინაშე შუამდგომლობა გამიჯვნის დაჩქარების შესახებ.

✦ პეტერბურგის გაზეთებში ვკითხულობთ, რომ იქიდან კავკასიაში წამოსულა სამიწად-მოქმედო სამინისტროს მოხელე დ. ა. ტიმირიაზევი, რომელსაც მინდობილი აქვს შესწავლა და გამოკვლევა კავკასიის საოჯახო მრეწველობის მდგომარეობისა და აგრეთვე ნაწარმოებთა კოლექციის შეკრება პეტერბურგში გამოსაფენად.

✦ 8 სექტემბერს საღამოს სომეხთა პატრიარქი მკრტიჩ ხრიმიანი წავიდა ტფილისიდან ეჩმიაძინს.

✦ ქალაქის თავი გ. გ. ევანგულოვი დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსი ინჟ. ვედენეევი დაბრუნდა ტფილისში.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ გამოცხადდა განკარგულება სომხურ წიგნების ტფილისის გამომცემელ ამხანაგობის დახურვის შესახებაო.

✦ ქ. შ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, დანიშნა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის გამგედ ბ-ნი ალექსი ჭიჭინაძე. ეხლა, როგორც

„ნოვ. ობოზრ.“ იტყობინება, ბ-ნი ჭიჭინაძე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველობას დაუნიშნავს ერევნის სახალხო სკოლების დირექტორად.

✦ თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორის ადგილზე ასახელებენ სხვებთა შორის სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ-ნ თვალჭრელიძეს.

✦ ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას განუზრახავს დაარსოს ბათომში უძრავ ქონებათა **დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება.** საზოგადოების წესდები მალე წარედგინება განსახილველად საბჭოს.

✦ პარასკევს, 8 სექტემბერს, მოხდა შეერთებული სხდომა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა და საგანგებოდ არჩეულ ჟიურისა განსახილველად **საპრემიოდ წარმოდგენილის პიესებისა.** სხდომაზე წაკითხულ და განხილულ იქმნა მხოლოდ ერთი პიესა, რომელიც, თუმცა მოწონებულ იქმნა და სარეპერტუარო პიესადაც ცნობილი, მაგრამ პრემიის ღირსად კი არ იქმნა აღიარებული. შემდეგი სხდომა მოხდება პარასკევს, 15 სექტემბერს. საპრემიოდ წარმოდგენილია სულ 7 პიესა, რომელთა განხილვას, ალბათ, კიდევ დასჭირდება ორი სხდომა უკვე მომხდარის გარდა.

✦ შემოდგომიდან პეტერბურგში კვლავ იწყებს მუშაობას საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოკვლევა კითხვისა და ორგანიზაცია **სავალდებულო სწავლებისა** ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე მცირე წლოვანთა და მუშათა შვილებისა.

✦ განზრახულია შემოღებულ იქმნას **სავალდებულო სწავლება** ხელოსანთა შეგირდებისათვისაც. ამ კითხვას ამ ჟამად იხილავს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

✦ როგორც ისმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს მოიწვიოს სრულიად რუსეთის **ექიმთა კრება** გამოსარკვევად იმ ზომებისა, რომლებიც მიღებულ უნდა იქმნან კეთრის წინაალმდეგ.

✦ გადაწყდა შემოღებულ იქმნას რუსეთში **მეტრიკული სისტემის** ზომები. ფინანსთა სამინასტრო ამ ჟამად იხილავს წეს-რიგს ამ რეფორმისას, რომელიც მალე უნდა იქმნას განხორციელებული.

✦ ტფილისის 1-ლ საქალებო გიმნაზიაში ამ ჟამად განთავისუფლებულია **სამი საქალაქო ვაკანსია.** ამ დღეებში ტფ. ქალაქის გამგეობა მოახდენს კენჭის ყრას ვაკანსიების განაწილებისათვის კანდიდატთა შორის.

✦ სურებისა და ბახმაროს მთებში **დიდი თოვლი** მოსულა, რის გამო საქონლის პატრონები ცუდს მდგომარეობაში ჩავარდნენ. საქონლის ჩამორეკა მთებიდან ჯერ ადრეა, რადგანაც სიმინდი არ არის შემოკარებული, მთებში დარჩენა კი მეტად ძნელია.

✦ ვურიიდან იწერებიან, რომ გამუდმებულ წვიმების გამო **სიმინდის მოსავალი** ცუდია. თუ ენკენისთვეშიაც იწვიმა, მაშინ ჩალის მეტი არაფერი შერჩება მცხოვრებთ.

✦ სამშაბათს, 12 ენკენისთვეს, მოხდება სხდომა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი, რომელზედაც განხილულ იქნება **პროგრამმა მომავალ სამეურნეო გამოფენისა.**

✦ ტფილისის **საოლქო სასამართლოს განყოფილება** დაიწყებს მუშაობას სიღნაღში 15 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევად. თავჯდომარედ იქნება ი. ო. პარჩევსკი, წევრებად ა. გ. რიბინი და ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლე, ბრალმდებლად იქნება ს. ი. ვოიდატოპაცევიჩი.

✦ გზათა სამინისტროში აღუძრავთ კითხვა იმის შესახებ, რომ ნება დართონ კერძო მოგზაურთ **საქონლის მატარებლით** წასვლა-წამოსვლაზე.

---

# საღამოს დეპეშები

**9 სექტემბერი**

**რიგა.** გარდაიცვალა ლაფლიანდიის გუბერნატორი სუროვეცკი.

**პეკინი.** ინგლისლების და ამერიკელების რაზმი, შემდგარი 1300 ჯარის-კაცისაგან, 4-ის ზარბაზნით გენერალ ვილსონის სარდლობით მიდის რანძიანდიანში იქაურ არსენალის ასაღებად და „მოკრივეთა“ ბრბოების გასაფანტავად. გენერლებმა სთხოვეს გერმანელ ჯარის უფროს გაგზავნოს ჯარები დასავლეთისაკენ „მოკრივეების“ დასაფანტავად. ფრანგები და იაპონელები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მოქმედებენ.

**ტაინცინი.** 2600 გერმანელი ქალაქიდან გავიდა, რათა შეუერთდეს ტაკუს მიდამოებში 4000 ჯარის კაცს, რომელთაგან 1500 გერმანელია, დანარჩენები კი რუსები. ხვალ გათენებისას იერიშს მიიტანენ პეიტანის სიმაგრეებზე.

**ლორენცო მარკეზი.** ბურები დგანან გორაკებზედ კომატიპორტუსაკენ, ათ 12 ზარბაზანი აქვთ; მათი რიცხვი 10,000-მდე აღის. სარდლები გენერალი პიკარი და გენერალი გეცე. ინგლისელებს ყოველ დღე ელიან.

**ვაშინგტონი.** ჩინეთის ელჩმა ვუტინფანმა გადასცა გარეშე საქმეთა მინისტრს სამხრეთ პროვინციების მეფის მოადგილეების დეპეშა, რომელშიაც ისინი სთხოვენ ამერიკის მთავრობას, რომ მან უბძანოს თავის წარმომადგენლებს ჩინეთში დაიწყონ მოლაპარაკება. ვუტინფანი ეთანხმება ამ თხოვნას და ამბობს, რომ მას ჰსურს დაიყოლიოს ამერიკის მთავრობა და ათავებინოს მას მოლაპარაკების დაწყება იმ იმედით, რომ სხვა სახელიწიფოებიც ამასვე იქმონენ მაშინ. მეფის მოადგილენი ვუჩანისა და ნანკინისა აცხადებენ, რომ მზად არიან იკისრონ უზრუნველ-ყოფა უცხოელთ მშვიდობიანობისა და უვნებლობისა თუ ამას იქით მოკავშირეთა ჯარების გადმოყვანა, მოისპობა.

**ვინბურგი.** შტეინმა დანიშნა მოსამართლე გერტცოგი ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის აღმასრულებლად.

**პარიჟი.** კანტონს ახლო, სუნტაის ოლქში გაჩნდა უწესოებანი; რამდენიმე სოფელი დანგრეულ იქმნა, მისიონერები გადარჩნენ; მეფის მოადგილეს შველა არა შეუძლიან-რა; კონსულები თხოულობენ ჯარებს; სამხედრო ნავი „ავალანშე“ თან გაჰყვება ჯარებს.

**პეკინი.** გამოცხადდა იმპერატორის ბრძანება, რომელიც იტყობინება, რომ ტაიენფუში მოვიდა იმპერატორი და ქვრივი დედოფალიო. შანსის გუბერნატორმა გასცა ბრძანება შეგროვდეს ფული სასახლის გასაკეთებლად სინფუში, რომელიც აღიარებულ იქმნება სატახტო ქალაქად.

**შანჰაი.** „გერტა“ შუადღისას მივა ვუზუნში, საიდანაც ვალდერზე წავა შანჰაიში. ნავთ-სადგურზე დაირაზმა გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და იაპონიის საპატიო ყარაული. იქვე იყო ინდიის ცხენოსანთა რაზმი და უკრავდა გერმანელთა ესკადრის მუსიკა.

**ტოკიო.** ტაკუდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ძინხაი აიღეს მოკავშირეებმაო, მაგრამ „დიდმა მუშტმა“ მოასწრო გაქცევა. ქალაქი დულიუ გადამწვარია მთლად. ლიხუნგჩანგი 7 სექტემბერს მივიდა რკინის გზით ტიანძინში და ხუთი დღის შემდეგ განაგრძო გზა.

**პეკინი.** რუსეთის, გერმანიის და საფრანგეთის შეერთებულმა ჯარმა 7 სექტემბერს აიღო სიმაგრე პეიტანი.

**ვაშინგტონი.** ჩიფუს დეპეშით იტყობინება პეკინიდან 6 სექტემბერს, რომ ვილსონის ექსპედიცია დაბრუნდა სრულებით დაუზარალებელი განზრახულ საქმის შესრულების შემდეგ.

**ვაშინგტონი.** კაბინეტის დღევანდელ სხდომის შემდეგ ოფიციალურ წრეებში ხმა გავარდა, რომ მთავრობა ჩინეთის კითხვის შესახებ დაადგა გადაწყვეტილებას, რომელსაც გამოაქვეყნებენ, როგორც კი მას სხვა სახელმწიფოებს შეატყობინებენ. იციან, რომ შედგენილია 3 ნოტა, რომელნიც არჩევენ რუსეთისა და გერმანიის წინადადებებს და ეხებიან ჩინეთის მოთხოვნებს, და რომ კონჯერს გადასცემენ მინდობილებას. მოლაპარაკება დაიწყო პრინც ცინთან.

**ჰონკონგი.** როგორც კანტონიდან იტყობინებიან, სამშუისაკენ იყო რამდენიმე შემთხვევა ქრისტიანების წინაალმდეგ მოქმედებისა.

**შანჰაი.** 5 საათზე მოვიდა გრაფ ვალდერზე და შევიდა ქალაქში; მას ალტაცებით შეხვდნენ; დახვედრაში დიდ მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი მცხოვრებნიც.

**პეტერბურგის ბირჟა 9 სექტემბერს**

| | მყიდველნი. | გაყიდული | გამყიდველნი. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ე | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96 1/8 |
| 4 1/2% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | — | 99 1/2 |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97 1/4 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 324 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 281 1/4 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 210 1/2 |
| 3 1/2% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88 1/4 | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4 1/2% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |

ქუთ. სათავ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . — — —

5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... — — —

5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . — — —

4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. .. — 87 —

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 5 კ.
» ღორის ბარკალი სალორქეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
ლავაში ჯგ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

---

## ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდანზე: ვოგზალზე:
ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.
1 1 30 1 20
ხორ. წითელი. . . 1 1 15 კაპ.
ქერი . . . . . 1 —მ.—70 კ.
სიმინდი . . . . 1 — —65—
ფქვილი სოფლისა . 1 1 —20—
» ფურნ. მდარე. 1 1 15 10—
კომბოსტო. . . . 1 — 30——
კარტოფილი. . . . 1 — 65——
ხახვი . . . . . 1 — 10——
თივა . . . . . 1 — 25——
ბზე. . . . . . 1 — 23——

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნადევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 80 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 5 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აჭარული საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.,

---

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | ხარისხი. |
|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | № 4—6 მ 75 კ |
| № 1—8 » 25 » | № 5—6 » 50 » |
| № 2—7 » 75 » | № 6—6 » — » |
| № 3—7 » 25 » | № 7—5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი ქვიშა ფუთი 6 მან. 80 კ.
„ ფშხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი— მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

---

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენისა და გუბნოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულბენკიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. სად., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დილით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. სად.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში. პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დილის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—სად. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. სად., სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. სად.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის სად. 9 ს., ტფილისში მოდის სად. 9 ს. 38 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დილით 4 ს.; ჭიათურაში მიდის სად. 6 ს. 52 წ.


# უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევა

## დამზღვევ საზოგადოებაში

# „როსსია“-ში

საზოგადოება „როსსია“ სასარგებლო პირობებით:

**აზღვევს** კერძო პირთ ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან, იმ პირობით, რომ ყველა მის მიერ შემოტანილი პრემია დაუბრუნდეს, და უპირობოდაც.

**აზღვევს** მგზავრებს რკინის გზებით და ზღვით და მდინარეთა გზებით მოსიარულეთ მთელის სიცოცხლის განმავლობაში, ერთის წლით და ნაკლების ვადითაც.

**აზღვევს** ერთობლად ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან მთავრობის, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სამრეწველო და საკომერციო საწარმოებლებში მოსამსახურეთ.

**აზღვევს** ერთობლივად ფაბრიკებისა, ქარხნებისა, შენობებისა და სხვა სამრეწველო საწარმოებლების მუშათა.

მიეცემათ დაშავებულთ უბედურ შემთხვევისაგან
სასყიდელი 4.500,000 მან. მეტი.

მსურველთა განცხადება დაზღვევის შესახებ მიიღება და ყოველგვარი ცნობები მიეცემა საზოგადოების გამგეობაში ს.-პეტერბურგს (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), საზოგადოების ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან იმპერიის ყველა ქალაქში.

**მგზავრთა დაზღვევა** შეიძლება აგრეთვე
**რკინის გზების** მთავარ-სადგურებზედ და გემ-ხომალდთა მთავარ ნავთ-სადგურებზე. 4—6—4


გამომც. გ. გუნია